# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/64

ქ. თბილისი 3 ივნისი 2026 წ.

**„გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ წესში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს ერთ აკადემიურ სემესტრში უფლება აქვს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღოს ერთხელ როგორც წესი.;

ბ) მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. შესაძლებელია კონკურსის ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებული თარიღები შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ის (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად ან უქმე და სადღესასწაულო დღეების გათვალისწინებით, რის შესაბამისადაც შეიცვლება ამ წესით დადგენილი შესაბამისი თარიღები.";

გ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აპლიკანტს ერთ აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსში შეუძლია გააკეთოს სააპლიკაციო განაცხადი რამდენიმე კოორდინატორ უნივერსიტეტზე, მისი ნომინაცია გაიგზავნება იმ კოორდინატორ უნივერსიტეტში, რომელსაც არჩეული უნივერსიტეტებიდან პრიორიტეტს მიანიჭებს აპლიკანტი კომისიასთან გასაუბრების დროს ან წერილობითი შეტყობინებით. არჩეულ უნივერსიტეტში ნომინირების შემდეგ მისი კანდიდატურა/სააპლიკაციო განაცხადი აღარ განიხილება სხვა უნივერსიტეტში ნომინირებისთვის იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმღებმა უნივერსიტეტმა უარი განაცხადა მისი კანდიდატურის დადასტურებაზე. მიმღები უნივერსიტეტის მიერ უარის მიღების შემთხვევაში აპლიკანტი უფლებამოსილია, კომისიისთვის წერილობითი შეტყობინებით გააკეთოს არჩევანი მის მიერ არჩეულ სხვა უნივერსიტეტში შესაბამისი ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. კომისია აპლიკანტის მონაწილეობის გარეშე, გამოკითხვის წესით იღებს გადაწყვეტილებას არჩეულ უნივერსიტეტში ნომინირების თაობაზე.";

დ) წესის დანართი 2 - მობილობის ანგარიშის ფორმა თანამშრომლებისთვის ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (დანართი).

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**